



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბარი

ბარი, სამინათმეცნიერო იარაღი. შედგება რკინის პირის, ხის ტარისა და სატერფულისაგან. ძველად მაგარი ჯიშის ხისპირიან ბ-საც იყენებდნენ. ასეთი ბ-ის პირის კიდეებზე ლითონის საქლეშის შემოვლებაც იცოდნენ. მთის ფერდა ადგილებზე მუშაობა ბ-ით მოუხერხებელია. ამიტომ ბ-ის პირს ტარს 90°-იანი კუთხით უგებდნენ და თოხივით ხმარობდნენ. ასეთ იარაღს ბართოხი ეწოდებოდა. ბ-ს ძველად მჭედლები ამზადებდნენ რკინის ცხელი ჭედვით. იგი სამხერ. კავკასიის ერთ-ერთი უძველესი სამინათმეცნიერო იარაღია. მისი გამოსახულება გვხვდება დავითგარეჯის მთავარი ეკლესიის კედლის თავდაპირველ მხატვრობაში (VI-IX სს.). ბარვის პროცესი გამოხატულია ჯრუჭის XII ს. მინიატიურაზე.

ლიტ.: ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამინათმეცნიერო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960.

გ. ჯალაბაძე
